

კავშირი “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო”

საცხოვრებელი შენობების ენერგეტიკული
და
ეკოლოგიური პრობლემები
საქართველოში

ენერგოეფექტურობის ცენტრის ბიბლიოთეკა
თბილისი 2011

© კავშირი “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო” 2011

გვაქვს პატივი ნარმოგიდვინოთ ნიგნი “საცხოვრებელი შენობების ენერგეტიკული და უკოლოგიური პრობლემები საქართველოში”.

ნინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნება ჩვენი მორიგი მცდელობაა საზოგადოების ყველა ფენის სამსჯელო საგნად ვაქციოთ საქართველოში მშენებლობის დარღვი ჩამოყალიბებული უარყოფითი ტენდენცია, რომელიც საბჭოეთიდან გვერგო შთამამავლობით და დამოუკიდებლობის პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა.

ნაშრომში მიმოხილულია საქართველოში შენობების თბოტექნიკური მახასიათებლების განვითარების ისტორიული ეტაპები და შედეგად, ჩამოყალიბებული ტენდენციები. მათი გავლენა შიდა ეკოლოგიასა და კომფორტზე.

დასახული ამოცანების მიღწევის მაღალი პროფესიული ინტერესის გამო, ნაშრომის მომზადება ვთხოვეთ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ბატონ გიორგი სადაღაშვილსა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, აკადემიურ დოქტორს ქალბატონ მარიკა სადაღაშვილს.

ავტორები, შეძლებისდაგვარად პოპულარულ ენაზე აღნერენ შენობებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებს და ამ პროცესების გამოვლინების პირველად ნიშნებს. დეტალურად განიხილავენ კედლების შიდა ზედაპირზე ნამის ნარმოქმნის მიზეზებს და კედლის თბომახასიათებლების გაუმჯობესებით ამ პრობლემის აღმოფხვრის თეორიულ საკითხებს. ასევე აღნერენ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ირიბი ნვიმების უარყოფითი გავლენის აღმოფხვრის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს.

იმედს ვიტოვებთ, და ჩვენი მხრიდან მცდელობას არ მოვაკლებთ, რომ ამ და მსგავსი პუბლიკაციებით, სხვა ქმედებებთან ერთად შევძლოთ სათანადო იმპულსი მივცეთ საზოგადოებას

არსებული მავნე ტენდენციის გამოსწორებისა რადგანაც, სრულად გვაქვს გაცნობიერებული, რომ თანამედროვე, ენერგოეფექტური მშენებლობა არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული შენობით მოსარგებლეთა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს.

ნაშრომის მომზადების პროცესი ჩვენთვის უაღრესად საინტერესო, შემოქმედებითად დაძაბული და შემცნებითი აღმოჩნდა. ხოლო, თუ რამდენად ნარმატებული, ამის განსჯა თქვენთვის მოგვინდია, ჩვენის მხრივ კი უდრმეს მადლობას ვუძლვნით ბატონ გიორგისა და ქალბატონ მარიკას თანამშრომლობისათვის.

ენერგოეფექტურობის ცენტრის სახელით,
გიორგი აბულაძეილი

საცხოვრებელი შენობების ენერგეტიკული და ეკოლოგიური პრობლემები საქართველოში

თავი 1. საცხოვრებელი შენობების შემომზღვდავი კონსტრუქციების განვითარების ტენდენციები საქართველოში

ბოლო წლებში საქართველოში დიდი რაოდენობით აშენდა საცხოვრებელი შენობები. მრავალსართულიანი სახლების უმეტესობა თბილისის ე.ნ. პრესტიულ უბნებში აშენდა. განაშენიანების გადაჭარბებული სიმჭიდროვის გამო განადგურდა გამწვანებული ფართობები. მკვეთრად გაიზარდა მანქანების რაოდენობა. საფეხმავლო გზა-ტროტუარები გადაიქცა მანქანების სადგომებად და სავალ ნაწილად. მანქანების დიდმა რაოდენობამ გამოიწვია ჰაერის დაბინძურება. მრავალსართულიანი შენობების მჭიდრო განაშენიანების გამო შენობები ჩრდილავენ ერთმანეთს, ირლვევა განათებულობის ნორმები, ბევრი ბინა მოკლებულია მზის რადიაციას, სუპერურბანიზაციამ გამოიწვია მიკროკლიმატის და ადამიანის საცხოვრებელი პირობების გაუარესება.

საქართველოში ენერგიის ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელი არის საცხოვრებელი სექტორი. იმის გასარკვევად, თუ რა რაოდენობის ენერგია არის საჭირო შენობების გათბობა-გაგრილებაზე და რა წვლილი შეაქვთ მათ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებაში, უნდა შეფასდეს შენობების ენერგოეფექტურობა, რომელიც განისაზღვრება შენობების შემომზღვდავი კონსტრუქციების თბილექნიკური თვისებებით. თანამედროვე სახლების ენერგომოხმარება და ეკოლოგიური მდგომა-

რეობა რომ თვალსაჩინო იყოს, საჭიროა განვიხილოთ ის ცვლილებები, რომელიც განიცადა სამშენებლო დარგმა მე-20 საუკუნეში. საქართველოში განვლილი დრო (სამშენებლო თვალსაზრისით) პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: შენობები აშენებული 1920 წლამდე, სახლები აშენებული 1920-1990 წლებში და აშენებული 1990 წლიდან დღემდე.

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში კაპიტალური შენობები შენდებოდა ევროპული განათლების მქონე არქიტექტორების პროექტებით. იმ დროს აშენებული შენობები თავისი თბოტექნიკური მაჩვენებლებით შეესაბამებოდნენ იმდროინდელ ევროპულ დონეს. შენობის კედლები იყო აგურის და მათი სისქე საშუალოდ შეადგენდა 80 სმ, ზოგ შემთხვევაში კი აღწევდა 100 სმ. ასეთი კედლები ხშირად იყო დამატებით თბოიზოლირებული დამათბუნებელი ჩანაყარით. მაგალითად, ასე იყო თბოიზოლირებული ამჟამინდელი განათლების სამინისტროს შენობის კედლები. გამოიყენებოდა ორმაგი ფანჯრები. სართულშუა გადახურვებს გააჩნდათ თბო - და ბერასაიზოლაციო ფენილები. სასხვენე გადახურვები ასევე იყო თბოიზოლირებული. კიბის უჯრედები იყო დახურული და მათ გააჩნდათ თბოიზოლაციისათვის ტამბურები. გასათბობი ღუმელები განლაგებული იყო ისე, რომ ერთდროულად თბებოდა რამდენიმე ოთახი. კედლების მაღალი სითბური ინერციის გამო ბინის გასათბობად საკმარისი იყო გათბობა 3-5 დღეში ერთხელ.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, სოციალისტური წყობილების დროს ენერგორესურსებზე დაწესებული იქნა ხელოვნურად დაბალი სახელმწიფო ფასები. ენერგიის დიდმა რაოდენობამ და დაბალმა ფასებმა განაპირობა ახალი მიდგომები, რაც აისახა სამშენებლო ნორმატიულ დოკუმენტაციაში. შემცირდა მოთხოვნები შენობის თბოსაიზოლაციო თვისებებისად-

მი და კედლების სისქე შემცირებული იქნა 2-4-ჯერ, საცხოვრებლის კომფორტზე მოთხოვნები დაყვანილ იქნა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ქვედა ზღვრამდე. მასობრივად განვითარდა ერთშრიანი ბეტონის კედლების გამოყენება. ასეთი კედლების სისქე დგინდებოდა უფრო კონსტრუქციულ-ტექნიკური და არა თბოტექნიკური მოთხოვნების მიხედვით. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ერთი და იგივე კლიმატის პირობებში და ერთნაირი ბეტონის შემთხვევაში მსხვილი ბლოკების კედლები იყო 40 სმ სისქის, მსხვილი პანელების შენობებში 30 სმ სისქის, ხოლო კარკასულ შენობებში კედლების სისქე იყო 25 სმ. არც ისე იშვიათად ბეტონის კედლებში შეიმჩნეოდა კონდენსაციით გამოწვეული ნესტი, ხავსი და სოკოები. ორმაგი ფანჯრები შეცვლილი იქნა ცალმაგით. კიბის უჯრედები და სასხვენე გადახურვები იყო ღია და ა.შ.

საბჭოთა ნორმებით აშენებული შენობების გათბობა გათვლილი იყო განუწყვეტლივ მოქმედ გამათბობელ სისტემებზე. ქალაქებში ასეთი გათბობა ხორციელდებოდა გათბობის ცენტრალიზებული საქვაბეებით. ენერგიის დაბალი ფასების პირობებში ასეთი მშენებლობა სამუალებას იძლეოდა ენერგიის მოხმარების გაზრდის ხარჯზე გაეწიათ სამშენებლო მასალების ეკონომია და გაეზარდათ მშენებლობის მოცულობა. ენერგიის დაბალი ფასების პირობებში ასეთი მშენებლობა გამოიყურებოდა ეკონომიურად. საქართველოს საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობად დარჩა შენობები, კვარტლები და ქალაქები გათვლილი შეუზღუდავი რაოდენობის დაბალი ფასის ენერგიის მოხმარებაზე, რაც წინააღმდეგობაშია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში გაგრძელდა მშენებლობა, რომელიც ისევ ძველ, საბჭოთა ნორმებზეა ორიენტირებული. მასობრივად გავრცელდა რკინაბეტონის კარკასული შენობების მშენებლობა. კარკასის საკედლე შე-

მავსებლად გამოყენება ღრუტანიანი ბეტონის ბლოკები. ასეთი შენობების თბოტექნიკური მაჩვენებლები ბევრ შემთხვევაში უფრო დაბალია, ვიდრე საბჭოთა დროს აშენებული შენობებისა. კარკასის ელემენტები, როგორიცაა რკინაბეტონის სვეტები, რიგელები, გადახურვები ასრულებენ შემომზღვდავი კონსტრუქციების ფუნქციებს და მათი თბოტექნიკური მაჩვენებლები ხშირად არ შეესაბამება საბჭოთა ნორმებასაც კი. რაც შეეხება საკედლე ღრუტანიანი ბეტონის ბლოკებს, მათი თბოტექნიკური მაჩვენებლები არის საბჭოთა ნორმების მოთხოვნათა ზღვარზე, ან საერთოდ არ აკმაყოფილებენ ნორმებს. მცდელობა, რომ ბეტონის ბლოკები დამზადდეს მსუბუქი ბეტონისაგან (პერლიტებეტონი, პემზაბეტონი, ქაფბეტონი და სხვა) არ ცვლის საკითხს, რადგან მათი თბოტექნიკური მაჩვენებლები ისევ ორიენტირებულია საბჭოთა ნორმებზე. ფანჯრებში ორმაგი მინაპაკეტის გამოყენება უმნიშვნელოდ აუმჯობესებს საქმეს, რადგან ძირითადი სითბოდანაკარგები მოდის რკინაბეტონის ელემენტებზე და ბეტონის კედლებზე. ასეთი შენობები, როგორც ეს გათვალისწინებულია საბჭოთა ნორმებით, მოითხოვენ დღელამის განმავლობაში განუწყვეტლივ გათბობას. განვლილ ასწლიან ისტორიულ პერიოდში კედლების მახასიათებლებმა განიცადეს ცვლილებები.

კედლები დროთა განმავლობაში გათხელდა 4-ჯერ, ხოლო მათი წონა შემცირდა დაახლოებით 6,5-ჯერ. კედლების სითბოგადაცემის წინაღობა შემცირდა. სათანადოდ, გაიზარდა სითბოდანაკარგები კედლებიდან. ანუ კედლების თბოტექნიკური მახასიათებლები გაუარესდა. უნდა აღინიშნოს, რომ დაკიდული კედლები, რომლებიც გამოიყენება კარკასული სახლების მშენებლობაში წარმოადგენენ გარკვეულ ეტაპს სამშენებლო ტექნიკის განვითარებაში.

კარკასულ შენობებში მზიდ ფუნქციებს ასრულებს კარკასი, ხოლო გარე კედლებს ასეთი ფუნქცია აღარ აკისრიათ. დაკიდული კედლების ძირითადი დანიშნულებაა შენობის შიდა სივრცის გარე კლიმატის უარყოფითი ზემოქმედებისაგან დაცვა.

დაკიდული კედლები იტვირთებიან მხოლოდ საკუთარი წონით, რომლის დატვირთვა გადაეცემა კარკასს. მზიდი ფუნქციის არ ქონის გამო დაკიდული კედლების წონა შეიძლება მკვეთრად იქნეს შემცირებული. ასე მაგალითად, აშშ-ში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში დაკიდული კედლების წონა საშუალოდ დაყვანილ იყო 50 კგ/მ². 80 სმ სისქის აგურის კედლის წყობასთან შედარებით მათი წონა 30-ჯერ იყო შემცირებული.

ამერიკულ ტერმინოლოგიაში დაკიდულ კედლებს ეწოდება „curtain wall“, ან პირდაპირი თარგმანით „კედელი ფარდას“ ნიშნავს და სრულად ასახავს მათ დანიშნულებას და ტექნიკურ სახეს.

ახალი მასალები, რომლებიც ამჟამად გამოჩნდა ბაზარზე პრინციპულ ცვლიან კედლის სისქის, წონის და სითბოგადაცემის წინაღობის არსებულ მაჩვენებლებს. მაგალითისათვის მოგვყავს ამერიკული პატენტით გამოშვებული მასალა „TC Ceramic“ რომლის 1 მმ სისქე თავისი სითბოგადაცემის წინაღობით ექვივალენტურია 70 სმ სისქის აგურის კედლისა.

დაკიდული კედლები უნდა განიხილებოდეს როგორც კარკასული შენობების ერთგვარი პერანგი, რომელსაც აქვს ფუნქციური და ესთეტიკური დანიშნულება.

საქართველოში კარკასულ შენობებში საკედლე მასალად გამოიყენება ღრუტანიანი ბეტონის ბლოკები, რომლებიც კარკასის სვეტებს შორის არის განლაგებული. ღრუტანიანი ბეტონის ბლოკების კედლები საჭიროებენ ნაკლებ მასალას და ამიტომ არიან ეკონომიური, მაგრამ ამავე დროს მათი სითბოგადა-

ცემის ნინაღობა შემცირებულია დაახლოებით 2,5-2,7 ჯერ, რაც სითბოგადინების ამდენჯერვე ზრდას ნიშნავს. ამ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლე, რომლითაც იზოგება სამშენებლო მასალები, მიღწეულია შენობის საექსპლუატაციო თვისებების გაუარესების და გათბობაზე გადაჭარბებული ენერგიის მოხმარების ხარჯზე. საქართველოში და განვითარებულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შედარებისათვის ქვემოთ მოყვანილია შენობების შემომზღვდავი კონსტრუქციების ნორმებით დადგენილი თბოტექნიკური მაჩვენებლები

ცხრილი #1

საცხოვრებელი შენობების შემომზღვდავი კონსტრუქციების სითბო- გადაცემის საჭირო ნინაღობა		
ქვეყანა	კედლები	გადახურვები
გერმანია	2,0 – 2,5	3,0 – 3,6
დანია	3,3 – 5,0	5,0 – 7,0
ნორვეგია	4,0	4,35
რუსეთი	2,1 – 5,6	2,8 – 7,3
შვედეთი	3,3 – 4,0	5,0 – 5,9
საქართველო	0,5	0,75

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ განსხვავება სითბოგადაცემის საჭირო ნინაღობაში გამოწვეულია მხოლოდ კლიმატის სხვაობით. ამის გასარკვევად საჭიროა განხილული იყოს ცვლილებები, რომელიც საქართველოსგან განსხვავებით მოხდა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოში არსებული მდგომარეობის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებისთვის, განვიხილოთ როგორ იცვლებოდა წლების მანძილზე მასალები, კონსტრუქციები და


თბოტექნიკური მაჩვენებლები განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითისათვის განვიხილოთ შვედეთის მონაცემები (ნახ. 1)

როგორც დიაგრამიდან ჩანს მე-20 საუკუნის დასაწყისში შვედეთში, ისევე როგორც საქართველოში, საკედლე მასალად გამოიყენებოდა აგური, შემდეგ აგურის კედლები შეიცვალა მსუბუქი უჯრედოვანი ბეტონის კედლებით, შემდეგ ორმრიანი კედლებით, ამის შემდეგ უფრო ეფექტური სამშრიანი კონსტრუქციებით და ა.შ. დიაგრამაზე ჩანს, რომ კონსტრუქციების ცვლილებასთან ერთად იცვლება მასალების ნომენკლატურა და მათი გამოყენების მოცულობები. ასე მაგალითად, მსუბუქი ბეტონის ერთშრიანი კედლების გამოყენება იწყება 20-ან წლებში და 70-ანი წლებისათვის თითქმის ამოღებულია ხმარებიდან, რის შემდეგ ძირითადად გამოიყენება ეფექტური თბოსაიზოლაციო მასალებისაგან შემდგარი მრავალშრიანი კედლები. მასალების და კონსტრუქციების ცვლილებასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდებოდა კედლების სითბოგადაცემის წინაღობა.

საქართველოში მდგომარეობა იცვლებოდა საწინააღმდეგო მიმართულებით. 30-იანი წლებიდან მოყოლებული გამოიყენება ერთშრიანი კედლები, უმთავრესად მსუბუქი ბეტონისაგან. კედლების სითბოგადაცემის წინაღობა შეესაბამებოდა დაახლოებით 40 სმ სისქის აგურის კედელს. თვალსაჩინოებისათვის ნახ. 2 მოყვანილია გრაფიკი, რომელზეც ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლებოდა საუკუნის მანძილზე კედლების სითბოგადაცემის წინაღობა შვედეთსა და საქართველოში.




% საცხოვრებელი ბინების საერთო რაოდენობასთან



ნახ. 1 საცხოვრებელ სახლებში გამოყენებული ძირითადი
სამშენებლო მასალები, კედლების კონსტრუქციები და
სითბოგადაცემის ნინაღობის მაჩვენებლები, $R_0(\theta^2 - 0^\circ\text{C})/3\text{ტ.}$

გარე კედლების
სითბოგადაცემის წინაღობის ცვლილება
წლების მიხედვით

$R_0 \cdot \theta^2 \cdot {}^0C / \text{მ}^3$



ნახ. 2

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში კედლების სითბოგადაცემის წინაღობა იყო ისეთივე და ზოგ შემთხვევებში უკეთესი, ვიდრე შვედეთში. განვლილ დროში შვედეთში კედლების სითბოგადაცემის წინაღობა გაიზარდა დაახლოებით 3-7-ჯერ, ხოლო საქართველოში შემცირდა დაახლოებით 2-ჯერ. შედეგად მივიღეთ, რომ საქართველოში სითბოდანაკარგები კედლებიდან საშუალოდ 6-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე შვედეთში. აღნიშნულ დროში კლიმატის მაჩვენებლების შეფარდება არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ დამოკიდებულება ენერგომოხმარებასთან და სითბოდანაკარგებთან. საქართველო ისევ საბჭოთა ნორმების “ტყვეობაშია” და ფანტავს ენერგიას ძველებურად, რაც ხელს უწყობს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, სოციალურ დაძაბულობას და ზრდის ენერგოდამოკიდებულებას სხვა ქვეყნებზე.

თავი 2. შემომზღვდავი კონსტრუქციების საექსპლოტაციო თვისებები.

მშენებლობის ეკონომიურობა და სამშენებლო მასალის რაოდენობის შემცირება არის საყოველთაო ტენდეცია დარგში. წინა თავში მოყვანილი პირველი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ გარე კედლების მასა შემცირდა 6,5-ჯერ და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება.

დიდი მასის კონსტრუქციებთან შედარებით, მსუბუქი კედლები უფრო „მგრძნობიარე“ არიან გარე მეტეროლოგიური ფაქტორების ცვლილებებთან. შემომზღვდავი კონსტრუქციები განიცდიან შენობის შიდა და გარე ტემპერატურის და ტენის გავლენას, ქარის, ქარისა და წვიმის ერთობლივ ზემოქმედებას, მზის რადიაციას და სხვა.

შემომზღვდავი კონსტრუქციების მასიურობა განისაზღვრება სითბური ინერციით.

ზამთრის საანგარიშო ტემპერატურები განისაზღვრება შემომზღვდავი კონსტრუქციების სითბური ინერციის მიხედვით.

მასიური კონსტრუქციებისთვის საანგარიშო ტემპერატურად მიიღება ყველაზე ცივი 5 დღის საშუალო, ხოლო მსუბუქი კონსტრუქციებისთვის - ყველაზე ცივი დღე-ლამის ტემპერატურა, საშუალო მასივობის კონსტრუქციისათვის - ამ ორ ტემპერატურას შორის საშუალო. ასე მაგალითად, თბილისი-სათვის ყველაზე ცივი 5 დღის საშუალო საანგარიშო ტემპერატურა უდრის -8°C , ხოლო მსუბუქი კონსტრუქციებისთვის საანგარიშო ტემპერატურა უდრის -10°C . საშუალო მასივობის კედლისათვის საანგარიშო ტემპერატურა იქნება -9°C .

საანგარიშო ტემპერატურის შესაბამისად იანგარიშება შემომზღვდავი კონსტრუქციის სითბოგადაცემის საჭირო წინაღობა.

ოთახში ჰაერის ტემპერატურას ჲ და შემომზღვდავი კონსტრუქციის შიდა ზედაპირის ტემპერატურას შორის ჲ_გ სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს ნორმირებულს.

მაგალითად, საცხოვრებელი ოთახისათვის, რომლის შიდა ჰაერის საანგარიშო ტემპერატურა თუ უნდა იყოს 18°C , კედლის შიდა ზედაპირის ტემპერატურა უნდა უდრიდეს ან იყოს მეტი 12°C . თუ სხვაობა აღემატება 6°C , მაშინ კედლის შიდა ზედაპირზე ჩნდება ნამის ნარმოშობის შესაძლებლობა. ნამი წარმოიქმნება სითბოგამტარი ჩანართების ადგილებში, ოთახის კედელზე და კუთხეებში, ფანჯრების მიმდებარე სიბრტყეში და ა.შ.

კედლის სითბოგადაცემის წინაღობა უნდა იყოს მიღებული სათანადო მარაგით. ანალოგიურად ტემპერატურა უფრო დაბალია ფანჯრის (ან გარე კარების) ჩარჩოს სიახლოვეს.

ოთახში დაბალი ტენიანობის შემთხვევაში, ოთახის ჰაერის ტემპერატურას და კედლის შიდა ზედაპირს შორის დიდმა სხვაობამ შეიძლება არ გამოიწვიოს კედლის შესამჩნევი ტენიანობა, მაგრამ ქმნის დისკომფორტს, რაც გამოწვეულია ჰაერის კონვექციური ნაკადის სიჩქარის ზრდით. კონვექციური ნაკადი, რომლის სიჩქარე აღემატება $0,2 \text{ m/s}$, ადამიანში იწვევს მუდმივი ნიავის შეგრძნებას. გარდა ამისა, კედლის შიდა ზედაპირის დაბალი ტემპერატურისას მის სიახლოვეს მყოფი ადამიანი სითბური გამოსხივებით შეუმჩნევლად კარგავს დიდ ენერგიას, რაც ქმნის სისხლძარღვთა და სხვა მრავალი დაავადებების წინაპირობას.

ენერგოდაზოგვის კონცეფციიდან გამომდინარე, სხვაობა ოთახის ჰაერის და კედლის შიდა ზედაპირის ტემპერატურას

შორის არ უნდა აღემატებოდეს $1,5^{\circ}\text{C}$. ასეთ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ კედლებს ექნება 4-ჯერ ნაკლები სითბოგადაცემის კოეფიციენტი, საცხოვრებელში იქმნება საუკეთესო სანიტარულ-ჰიგიენური და კომფორტის პირობები. თანამედროვე მშენებლობაში შემომზღვდავი კონსტრუქციის მასის შემცირება იწვევს კონსტრუქციის სითბური ინერციის შემცირებას, რაც მოწმდება კონსტრუქციის გაანგარიშებით სითბომდგრადობაზე.

სითბომდგრადობა ეწოდება შემომზღვდავი კონსტრუქციის თვისებას, კონსტრუქციის გარე ზედაპირზე მოსული სითბური ნაკადის ცვლილებების დროს შეინარჩუნოს კონსტრუქციის შიდა ზედაპირზე გარკვეულ საზღვრებში ტემპერატურის მუდმივობა. კონსტრუქციის სითბომდგრადობას მნიშვნელობა აქვს ზამთრის და განსაკუთრებით ზაფხულის პირობებში, როდესაც მზის რადიაციამ შეიძლება გამოიწვიოს შემომზღვდავი კონსტრუქციის გადახურება.

ერთი და იგივე სითბოგადაცემის შემთხვევაში მსუბუქი და მასიური კონსტრუქციები გარე ჰაერის ტემპერატურის რხევის დროს განსხვავდებიან ტემპერატურული ველის ცვლილების სისწრაფით. მსუბუქი შემომზღვდავი კონსტრუქციებისათვის, რომლებიც დათბუნებულები არიან ეფექტური თბოსაიზოლაციო მასალით, დამახასიათებელია ტემპერატურული ამპლიტუდის მიღევის სიმცირე. ასეთი კონსტრუქციები გათბობის სისტემის გათიშვის შემთხვევაში სწრაფად ცივდებიან, ხოლო ზაფხულის პირობებში ჰაერის მაღალი ტემპერატურის და მზის რადიაციის ზემოქმედებით სწრაფად ხურდებიან.

მსუბუქი კონსტრუქციის სითბური ინერციის გაზრდა მრავალშრიან კონსტრუქციაში მიიღწევა თბოსაიზოლაციო მასალის სითბოგადაცემის წინაღობის გაზრდით და შიდა შრეში მაღალი სითბოშეთვისების მქონე მასალის გამოყენებით. კონ-



სტრუქციის სითბომდგრადობის შემოწმება ხდება სათანადო ანგარიშებით, რომელიც მოყვანილია სახელძღვანელოებში და აგრეთვე სამშენებლო ნორმებში.

შემომზღუდავი კონსტრუქციები, რომლებიც მაღე ცივ-დებიან და ხურდებიან, საცხოვრებელ ბინაში ქმნიან მიკროკლიმატს, რომელსაც რუსული ტერმინოლოგიით “ბარაკის” მიკროკლიმატი ეწოდება.

შემომზღუდავ კონსტრუქციებს გარკვეულ საზღვრებში უნდა გააჩნდეს ჰაერშეღწევადობა (ფილტრაცია). გადაჭარბებული ჰერმეტიულობა აუარესებს საცხოვრებლის მიკროკლიმატს. ფილტრაცია წარმოიქმნება შემომზღუდავი კონსტრუქციის მოპირდაპირე ზედაპირებს შორის წნევის სხვაობით. წნევა წარმოიქმნება შიგა და გარე ტემპერატურის სხვაობის გამო და აგრეთვე ქარის ზემოქმედებით.

შემომზღუდავი კონსტრუქციების ჰაერშეღწევადობა და სავენტილაციო არხებმა საცხოვრებელ ბინაში უნდა უზრუნველყონ ჰაერის ცვლის საჭირო ჯერადობა, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ ორჯერადი საათში.

ჰაერის არასაკმარისი ვენტილაცია იწვევს ბინაში ტენიანობის ზრდას, ჟანგბადის ნაკლებობას და ნახშირორჟანგის მატებას. იქმნება ე.წ. „დახურული სათავისის სინდრომი“. არასრული ჰაერცვლა შეიძლება იყოს აგრეთვე გამოწვეული ღიობების არასწორი განლაგებით, რის გამოც ოთახში იქმნება გაუნიავებელი სივრცე. ნახ. 3 ნაჩვენებია ღიობების (ფანჯარა, კარები) არასწორი და სწორი განლაგების მაგალითი.



ნახ. 3. ფანჯრისა და კარების არასწორი (ა)
და სწორი განლაგება(ბ).

გაუნიავებელ სივრცეში, მცირე სითბოგადაცემის წინა-
ლობის მქონე კედლებში კონდენსაციის შედეგად ჩნდება ობი
და ზოგ შემთხვევაში სოკოებიც. ნახ.4 და ნახ.5 ნაჩვენებია
ოთახის კუთხეში და კედლის მთელ სიბრტყეზე კონდენსაციით
გაჩენილი ობი.



ნახ. 4 დაობება ოთახის კუთხეში



ნახ. 5 მთლიანად დაობებული კედელი.

მასალის ტენიანობის მატება იწვევს მის სითბოგამტარობის ზრდას.

ზამთრის პირობებში კონსტრუქციაში ტენის დაგროვება ხდება პროგრესულად, რის გამოც სითბოგამტარობაც სათანადოდ იზრდება.

ფორმვანი მასალის ჰაერიდან ტენის შთანთქმის პროცესს ეწოდება სორბცია, რომლის ინტენსივობა დამოკიდებულია მასალის თვისებებზე. ჰაერიდან შთანთქმულ ტენს, ეწოდება სორბციული ან ჰიგროსკოპული.

ფორმვანი მასალის გამომშრალ ნიმუშს თუ მოვათავსებთ განსაზღვრული ტემპერატურის და ტენიანობის ჰაერის გარემოში, ის შთანთქამს ტენს იქამდე, სანამ არ დამყარდება ტენცვლის პროცესის წონასწორობა გარემოს ჰაერთან. ამასთან მასალის ფორმებში აბსოლუტური ტენიანობა მეტია, ვიდრე გარემო ჰაერში (წყლის ორთქლის მოლეკულები მასალის ფორმების და კაპილარების შიდა ზედაპირით მიიზიდება და მასზე ადსორბირდება).

ყველაზე მაღალი სორბციული თვისებებით ხასიათდებიან ორგანული წარმოშობის მასალები, მათი სორბციული ტენიანობის ზღვარი მასის მიხედვით აღწევს 26-36%. არაორგანული მასალებისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 4-13%.

მასალის შრობის პროცესს ეწოდება დესორბცია. მასალის მიერ ტენის სორბციის კინეტიკა განსხვავდება დესორბციის პროცესისგან. მასალის შრობა მიმდინარეობს უფრო დაბალი სისწრაფით, ვიდრე ტენის შთანთქმა.

კონსტრუქციის მასალის სრული სორბციული ტენიანობა კონსტრუქციის ტენშემცველობის დასაშვებ ზედა ზღვრის კრიტერიუმად მიიღება.

წყლის ორთქლის კონდენსაცია კონსტრუქციის ზედაპირზე ხდება მისი ტემპერატურის ნამის წერტილზე ქვევით დაცემის დროს. წელინადის ცივ პერიოდში კონსტრუქციის შიდა ზედაპირთან მიმდებარე ჰაერის თხელი შრე ცივდება კედლის ზედაპირის ტემპერატურამდე, ხოლო ოთახის ტემპერატურა ყოველთვის არის მეტი კონსტრუქციის შიდა ზედაპირის ტემპერატურაზე.

შიდა ჰაერის ზღვრული ფარდობითი ტენიანობა $\varphi_{\text{დ}} \%$, რომლის დროსაც იწყება ტენის კონდენსაცია კონსტრუქციის შიდა ზედაპირზე, დგინდება ანგარიშით. შიდა ზედაპირზე კონდენსაცია თუ არ ხდება, შესაძლოა ის ხდებოდეს კონსტრუქციის შიგნით.

ერთშრიანი ან მრავალშრიანი შემომზღვდუდავი კონსტრუქციის ერთი შრის ორთქლშელნევადობის წინაღობა განისაზღვრება კონსტრუქციის შრის სისქით და მისი ორთქლშელნევადობის მაჩვენებლით.

სწორად დაპროექტებული კედლების შემთხვევაში ორთქლშელნევადობა გარკვეულ საზღვრებში დადებით გავლენას ახდენს ბინის მიკროკლიმატზე, რადგანაც არეგულირებს და

სტაბილურს ხდის ბინაში ჰაერის ტენიანობას. კონსტრუქციის გადაჭარბებული ტენიანობა ზრდის სითბოდანაკარგებს, აზიანებს კონსტრუქციებს და ხელს უწყობს არაჯანსაღი მიკროკლიმატის შექმნას საცხოვრებელ ოთახში.

დასავლეთ საქართველოს დაბლობში მდებარე ქალაქებში (ბათუმი, ფოთი, სოხუმი და სხვა) ეს პრობლემა მინიმალური მნიშვნელობისაა. ამ რეგიონში შემომზღუდავი კონსტრუქციების დასველება და მათი დაზიანება ძირითადად განპირობებულია ირიბი წვიმების ზეგავლენით. კონდენსაციის პრობლემა კი თავს იჩენს მთიან რეგიონებში.

აღმოსავლეთ საქართველოში კედლების ჭარბი ტენიანობა და კედლებზე ობის წარმოქმნა ხდება ზამთრის პირობებში ძირითადად უხარისხო ბეტონის (მაღალი მოცულობითი წონის) გამოყენების შემთხვევებში.


შემოწმებული ბინების რაოდენობიდან კედლის კონდენსაციით გამოწვეული გადაჭარბებული ტენიანობა ინდუსტრიული წესით აშენებულ სახლებში შეადგენდა დაახლოებით 1-1,5 პროცენტს. თუ გავითვალისწინებთ აშენებული ბინების საერთო რაოდენობას, დასველებადი კედლების რიცხვი საკმაოდ დიდია.

კედლის დასველების თავიდან ასაცილებლად პირველ რიგში საჭიროა მათი თბოგადაცემის წინაღობის გაზრდა, რაც მიიღწევა კედლის თბოიზოლაციის გაუმჯობესებით. დამატებითი თბოიზოლაცია შეიძლება მოეწყოს კედლის გარედან და თუ სხვა შესაძლებლობა არ არის, ოთახის მხრიდან. ერთი და იგივე სითბოგადაცემის წინაღობის შემთხვევაში, კედლის გარედან და შიგნიდან თბოიზოლაციის დროს კედლში ტემპერატურის და ტენიანობის განაწილება პრინციპულად განსხვავდება.

გარედან თბოიზოლირებულ კედელს აქვს დადებითი ტემპერატურა მთელ სისქეში, ხოლო კედელს, რომელიც თბოიზოლირებულია შიგნიდან, მის ძირითად ნაწილში აქვს უარყოფითი ტემპერატურა. ასეთ შემთხვევაში, თბოიზოლაციის და კედლის შიდა ზედაპირს შორის შეიძლება გაჩნდეს კონდენსაციით გამოწვეული დასველება.

ოთახის მხრიდან კედლის თბოიზოლაციის შემთხვევაში, კონდენსაციისაგან დაცვისათვის საჭიროა ისეთი თბოსაიზოლაციო მასალის გამოყენება, რომელიც ორთქლშეუღწევადია, ან თბოსაიზოლაციო ფენა ოთახის მხრიდან უნდა იყოს დაფარული ორთქლშეუღწევადი ფირით. ოთახის მხრიდან კედლის თბოიზოლირება უარყოფითად მოქმედებს საცხოვრებელი ოთახის მიკროკლიმატზე, რაღაც შიგნიდან თბოიზოლირებული კედელი არ „სუნთქავს“. გარედან თბოიზოლირებულ კედლებში ასეთი პრობლემა არ არსებობს.

ენერგოდაზოგვის მიზნით კედლების გარედან თბოიზოლირება ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთ. ნახ. 16 მოყვანილია კედლის გარედან თბოიზოლაციის სქემა, რომელსაც იყენებს გერმანული ფირმა „ჰენკელ-ბაუტექნიკ“.



**ნახ. 6. გარე კედლის თბოიზოლაციის სქემა,
Ceresit VWS**

თბოსაიზოლაციო მასალად უმთავრესად გამოიყენება მინერალური (ქვის) ბამბა. მინერალური ბამბის ფილების მაგივრად შეიძლება გამოყენებული იქნას აგრეთვე ქაფპოლისტიროლის ფილები. ასეთ შემთხვევაში ფანჯრებისა და კარების ღიობების ირგვლივ ხანძარსანიალმდეგო მოსაზრებიდან გამომდინარე მაინც მინერალური ბამბის ფილების ზოლები გამოიყენება. თბოიზოლაცია გარედან ხორციელდება, როგორც ახალ მშენებარე შენობებზე, ასევე უკვე აშენებული შენობების რეკონსტრუქციის შემთხვევაში. გარედან თბოიზოლაციის მოწყობა ერთი შეხედვით მარტივია. სინამდვილეში კი მოითხოვს მასალის ზუსტ შერჩევის და საამშენებლო ტექნოლოგიის რეგლამენტის დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგი შეიძლება იყოს უარყოფითი.

შენობების ენერგოდაზოგვის პრობლემის გადაწყვეტის და საცხოვრებელში კომფორტული პირობების შექმნის თვალ-საზრისით შენობის თბოიზოლაციის მოწყობა გარედან საუკეთესო გადაწყვეტილებაა.


კედლების გადაჭარბებული ტენიანობა და დასველების მიზეზი აგრეთვე შეიძლება იყოს წვიმა, რომელსაც ახლავს ქარი, ანუ ე.წ. „ირიბი წვიმა“. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ქარხნული წესით დამზადებული ანაკრები კონსტრუქციის კედლებისათვის.

ირიბი წვიმებისაგან დაცვა განსაკუთრებით აქტუალურია დასავლეთ საქართველოსა და მაღალმთიანი რეგიონების შენობებისათვის.


საქართველოს ქალაქებში „თბილზნიერ“-ის მიერ ჩატარებული კვლევებით გამოვლენილი იქნა 2523 კონსტრუქცია, რომელიც სისტემატურად სველდებოდა ირიბი წვიმების დროს. მონაცემების სტატისტიკური ექსტრაპოლაციით კედლის ამ სახის დასველება სავარაუდოდ შეადგენდა რამდენიმე ათეულ ათასს. დასავლეთ საქართველოში კედლების დასველება 5-ჯერ უფრო ხშირი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში.

სპეციალური კვლევების ჩატარების შედეგად შედგენილი იქნა საქართველოს ირიბი წვიმების რუკა.

ირიბი წვიმების დროს ტიპიური გაჟონვები მსხვილპანე-ლოვან შენობებში მოყვანილია ნახ. 7 და ნახ. 8.



ნახ. 7 ობი კედლის
ზედაპირზე, წყლის
გაჟონვა სართულშუა
გადახურვაში.




ნახ. 8 წყლის გაჟონვა სართულშუა
გადახურვაში, ბეტონის დაზიანება
საყრდენ თაროში.


ირიბი წვიმებით გამოწვეული კედლების დასველება არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. იგივე პრობლემა აქ-ტუალურია ინგლისში, ნორვეგიაში, შვედეთში, გერმანიაში და სხვაგან, მათ შორის აშშ-ში.

საქართველოს მოსახლეობა კედლების დასველებას ებ-რძოდა საკუთარი საშუალებებით. თბილისში პირაპირებზე ჰქინის სსნარით პილასტრების მოწყობით. ბათუმში კედლების დაცვას წვიმისაგან ახორციელებდნენ პირაპირების და ზოგ შემთხვევაში მთელი კედლის ჰქინისაგან მასალით დაფარვით, ან მთლიანად კედლის დაეკრანებით.

ნახ. 9-11 მოცემულია კედლების დაცვის ტიპიური გადან-ყვეტილებები.



ნახ. 9. კედლების ნაკერე-
ბის ჰიდროიზოლაცია ბიტუმით



ნახ. 10. კედლის ზედაპირის
ჰიდროიზოლაცია მთლიანად
ბიტუმით



ნახ. 11. ირიბი წვიმებისაგან კედლის დაცვა ასბოცემენტის
ეკრანებით.



პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ჩატარებული იყო ექ-სპერიმენტები როგორც ლაბორატორიულ პირობებში, ისე ექ-სპლუატაციაში მყოფ შენობებზე. თბილისის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტის მეტეოროლოგია-კლიმატოლოგია-ოკეანოლოგი-ის კათედრის ხელშეწყობით უნივერსიტეტის მეტეოროლოგია-სათანადო დანადგარებით ჩატარებული იყო ირიბი წვიმების რაოდენობის და ინტენსივობის გაზომვები.

აეროდინამიკურ მილში ჩატარდა მოდელების შესწავლა. შესწავლილი იქნა აეროდინამიკური კოეფიციენტების განაწილება კედელზე ჰაერის ნაკადის სხვადასხვა მიმართულების დროს. ანალოგიურად შესწავლილი იქნა დაეკრანებული კედ-ლების თავისებურებები.

ნახ. 12-ზე ნაჩვენებია ნორვეგიის სამშენებლო სამეცნიე-რო-კვლევითი ინსტიტუტის საწვიმარი დანადგარი, სადაც ირი-ბი წვიმების ზემოქმედებაზე ცდიან სხვადასხვა ორიენტაციის და დახრის შემომზღვდავ კონსტრუქციებს. ფოტოზე ნაჩვენე-ბია დახრილი ფანჯრის გამოცდა წყალუჟონადობაზე.



ნახ. 12. შემომზღვდავი კონსტრუქციების წყალუჟონადობაზე
გამოცდის დანადგარი


ექსპერიმენტული დაკვირვებები ტარდებოდა ასევე საველე პირობებშიც. ნახ. 13-ზე ჩანს ნორვეგიის სამშენებლო ინსტიტუტის „Test House“, რომელზეც ავტორის წინადადებით დამონტაჟებული იქნა სამი ღერძის მიმართულებით მოძრავი ეკრანები, რაც იძლეოდა ეკრანიდან ძირითადად კედლამდე ჰაერის შრის სისქის და ეკრანებს შორის ღია ნაკერების წვიმისაგან დაცვის ოპტიმალური ზომების განსაზღვრის საშუალებას.



ნახ. 13. NRBY-ის „Test House“ ტრონჟეიმში

„Test House“-სთან ავტორი და ექსპერიმენტის ხელმძღვანელი, არქიტექტორი ტრიუგვე იზაქსენი.

ძირითადი კედლის წვიმისგან ეკრანებით დაცვის ეფექტურობა ჩანს 14-ზე ნახაზზე.



ფილტრის ზომა - 600 X 600 მმ
 დია ჰირიზონტალური ნაკერქბი - 8 მმ
 პაურის შრე - 60 მმ


ფილტრის ზომა - 600 X 600 მმ
 გერიეგალური და ჰირიზონტალური ნაკერქბი - 8 მმ
 პაურის შრე - 100 მმ

- ფასადის ფილტრი
- პაურის შრე
- მინის ტილო მინერალური თბოიზოდაციის მასალაზე, 60 მმ.
- მინერალური თბოიზოდაციის მასალის წინა ნაწილი 0-15 მმ
- მინერალური თბოიზოდაციის უკანა ნაწილი

ნახ. 14. ირიბი წვიმის ძირითადი ნაწილი აირინება ეკრანით.

ეკრანები პირგადადებით და ღია ნაკერებით ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მშენებლობაში.

ნახ. 15-ში მოყვანილია ნორვეგიის A 523 255 სტანდარტით პირგადადებული ეკრანებით ხის სახლებში ვენტირლირებული კედლების მოწყობის მაგალითი.



ნახ. 15. ა. კედლები ჰაერის შრით, ვარიანტი
ჰორიზონტალური შემოფიცვრით,
ბ. კედლები ჰაერის შრით, ვარიანტი
ვერტიკალური შემოფიცვრით.

გერმანიის მრავალსართულიანი სახლების კედლები და
ნაკერებიანი ეკრანებით მოყვანილია ნახ. 16.



ნახ. 16. საცხოვრებელი შენობის ფასადის
სანაცია ეკრანებით.
(ქ. ჰამბურგი, გერმანია)

თბოიზოლაცია და ეკრანების მოწყობა ხორციელდება ექ-
სპლუატირებულ შენობებზე მათი სანაციის მიზნით და ასევე
ახლადაშენებულ შენობებზე.



ნახ. 17. საცხოვრებელი სახლის ფიბროცემენტის ეკრანებით
მოპირკეთება ქ. ჰანოვერში (გერმანია)




ნახ. 18. სკოლის ფასადის სანაცია კომპოზიტური
მასალის ეკრანებით.

კედლები ეკრანებით დაცულია ატმოსფერული ზემოქმედებისაგან, ამავე დროს წყლის ჭარბი ორთქლი, რომელიც წარმოიშვება ოთახში დაუბრკოლებლივ გაედინება შიგნიდან გარეთ, ხოლო ვენტილირებული შრე უზრუნველყოფს კედლის მასალების ინტენსიურ შრობას, რაც ამცირებს კედლის თბოგამტარობას. ზაფხულის პირობებში ეკრანები იცავენ კედელს გადახურებისაგან, რის გამოც ოთახის ჰაერის კონდიცირების დრო მნიშვნელოვნად მცირდება ან კონდიცირება საერთოდ არ არის საჭირო.

ეკრანების გავლენა კედლის გაშრობაზე თვალსაჩინოდ ჩანს გერმანელი მეცნიერის კიუნცელის გრაფიკიდან, რომელიც მიღებულია ორნლიანი დაკვირვების შედეგად.

გრაფიკზე 19-ზე ნაჩვენებია ეკრანით შექმნილი ვენტილირებული შრის შემთხვევა და ეკრანის გარეშე უჯრედოვანი ბეტონის კედლის შრობის პროცესი.

გრაფიკიდან ჩანს, რომ შრობის შედეგად ეკრანის გარეშე კედლის ტენიანობა შემცირდა მხოლოდ 15 პროცენტამდე, მაშინ როდესაც დაეკრანებული კედლის ტენიანობა შემცირდა 2 პროცენტამდე, ანუ 7-ჯერ ნაკლებია. სათანადოდ მშრალი დაეკრანებული კედელი სულ ცოტა 1,5-ჯერ ნაკლებად სითბოგამტარი იქნება, რაც ამდენჯერვე შეამცირებს ენერგოდანაკარგებს კედლიდან.



ნახ. 19. უჯრედოვანი ბეტონის შრობის პროცესი დაეკრანებული ფასადის შემთხვევაში (2) და მის გარეშე (1).

თავი 3. საქართველოში საცხოვრებელი შენობებისგან საობობად ხაჭირო ენერგია და ეკოლოგიის საკითხები

შენობების სითბოდანაკარგები და გასათბობად საჭირო ენერგიის რაოდენობა განისაზღვრება შენობების შემომზღვულავი კონსტრუქციების სითბოგადაცემის წინაღობით. საქართველოში ბოლო 100 წლის მანძილზე შენობების შემომზღვულავი კონსტრუქციების სითბოგადაცემის წინაღობა შემცირდა დაახლოებით ორჯერ. ბუნებრივია დაისვას საკითხი, როგორ აისახა თბოგადაცემის წინაღობის შემცირება შენობების ენერგომოხმარებაზე. ასეთი შეფასება მით უფრო საჭიროა, რომ ენერგოდაზოგვა არის მთავარი სტრატეგიული მიმართულება მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში.

საქართველოში შენობების გასათბობად საჭირო ენერგიის მოხმარების საკითხს ყურადღება არ ექცევა, რაც ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ მიმართულებით არანაირი დამტკიცებული ნორმები ან რეკომენდაციები არ არსებობს. მშენებლები ინერციით ორიენტირებული არიან ძველ საბჭოთა ნორმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმებს დღეს მსოფლიოში არავინ არ იყენებს, გარდა საქართველოსი. სითბომოხმარებას რომ არანაირი ყურადღება არ ექცევა ჩანს იქიდანაც, რომ სითბომოხმარების ინსტრუმენტული ან ანალიტიკური შემოწმება არ სრულდება, არ გაიცემა შენობის ენერგეტიკული პასპორტი.

დღემდე შეუსწავლელი რჩება საბჭოთა ნორმებით აშენებული შენობების სითბოდანაკარგები, არ არის გაანალიზებული რამდენად ეფექტურად მოიხმარება ენერგია და რა შედეგს მივიღებთ თანამედროვე ევროპული ნორმების და სტანდარტების გამოყენების შემთხვევაში. აღნიშნული საკითხები საჭიროებენ შესწავლას და სათანადო გადაწყვეტილების მიღებას.

შენობები განსხვავდებიან გეგმარებით, სართულიანობით, შემომზღვდავი კონსტრუქციებით, სამშენებლო მასალით და ა.შ. ბუნებრივია, ყველა ცალკე აღებულ შენობას ექნება განსხვავებული თბოტექნიკური მაჩვენებლები და ენერგომოხმარება. თბოტექნიკური მაჩვენებლების შესწავლა ყველა ცალკე აღებული შენობისათვის და მიღებული შედეგის განზოგადება მოითხოვს დიდ შრომას, სახსრებს და დროს, რაც დღევანდელ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია. საქმე მარტივდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო 80-90 წლის მანძილზე აშენებული საცხოვრებელი შენობები ფაქტობრივად ორიენტირებული იყო ერთსა და იმავე ნორმებზე. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავუშვათ, რომ შენობების თბოტექნიკური მაჩვენებლების გასაშუალოებული მნიშვნელობები საორიენტაციოდ შეესაბამებიან ნორმატიულ მოთხოვნებს. ასეთი დაშვება გაანალიზების და მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ევროკავშირში მიღებულ სტანდარტებთან და დირექტივებთან შედარების საშუალება იქმნება.

სითბოდანაკარგები განხილული იყო თბილისის კლიმატური პირობებისათვის, რომლებიც თანახმად CHиП 2.01.01-82 „Строительная климатология и геофизика“, არის შემდეგი: ზამთრის საანგარიშო ტემპერატურა -8°C , გასათბობი პერიოდის საშუალო ტემპერატურა $4,2^{\circ}\text{C}$, გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა 152 დღე (3648 საათი), სათავსის შიდა ჰაერის ნორმირებული ტემპერატურა 18°C .

გათვლები შესრულდა CHиП II-3-79* და CHиП II-33-75 შესაბამისად და აგრეთვე ახალი სამშენებლო ნორმებით „სამშენებლო თბოტექნიკა“ (პროექტი), რომელიც ჩაბარებულია 2004 წელს ეკონომიკის განვითარების სამინისტროში. გათვლები და მიღებული შედეგები დეტალურად მოცემულია ნაშრომში [8].

საბჭოთა ნორმებით და ახალი სამშენებლო ნორმებით შემომზღვდავი კონსტრუქციების თბოტექნიკური მაჩვენებლები მოყვანილია #2 ცხრილში.

ცხრილი #2

შემომზღვდავი კონსტრუქციები	სითბოგადაცემის საჭირო ნინაღობა, R_0 საჭ მ ^{2,0} C/ვტ		ახალი და ძველი ნორ- მების მოთ- ხოვნათა თა- ნაფარდობა
	СНиП II-3-79**	ახალი სნ და ნ (პროექტი)	
1. კედლები	0,5	2,1	4,2
2. ფენილები და სასხვენე გადა- ხურვები	0,75	2,8	3,7
3. გადახურვები ცივ სარდაფებზე და იატაკებზე	1,34	2,8	1,5
4. შუქგამტარი კონ- სტრუქციები	0,18	0,35	1,9
საშუალოდ			2,83

გათვლების შედეგად დადგინდა, რომ საბჭოთა ნორმებით შენობების ხვედრითი სითბოდანაკარგები შეადგენს 250 კვტ. სთ/მ², ხოლო თბოზოლირებული შენობების სითბოდა-ნაკარგები 91 კვტ. სთ/მ². ანუ სითბოდანაკარგები მცირდება 64%. საქართველოს პირობებში თბოზოლირებული შენობის ენერგეტიკულ ბალანსში გასათბობ პერიოდში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მზის რადიაციას. მზის რადიაციის გათვალისწინებით თბოზოლირებული შენობის ხვედრითი სითბოდანაკარგები მცირდება ორჯერ და შეადგენს 45 კვტ. სთ/მ².

ქალაქის გეგმარებაში მზის რადიაციის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა ენერგეტიკული და სამართლებრივი პოზიციებიდან დაუშვებელია. მზის ენერგია ყველა მოსახლეს ეკუთვნის ერთნაირად. დაუშვებელია, რომ ადამიანმა თუ შენობამ

მეორე შენობის დაჩრდილვით მოაკლოს ადამიანს მზის ენერგიით სარგებლობის საშუალება. ამ საკითხს აქვს ენერგეტიკული, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფო ნორმატივებით დარეგულირებას. ერთი მესაკუთრის მხრიდან მეორე მესაკუთრის ხარჯზე მზის ენერგიით სარგებლობა უნდა იქნას ეკონომიკურად კომპენსირებული.

საქართველოში მზის რადიაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე ცხრილში მოცემულია თბილისისათვის თბოზოლირებული შენობების ენერგეტიკული მაჩვენებლები მზის რადიაციის გათვალისწინებით.

ცხრილი #3

საცხოვრებელი შენობები თბილისი	გასათბობ პერიოდში შენობების გათბობაზე საჭირო ენერგია		
	ხვედრითი რაოდენობა კვტ·სთ/მ ²	მთლიანი რაოდენობა კვტ·სთ	სიმძლავრე მვტ
საბჭოთა ნორმებით აშენებული შენობები (CHиP II-3-79 ^x)	250	$4448 \cdot 10^6$	2295
ახალი სამშენებლო ნორ-მები სა და 6 (პროექტი)	45	802	830
ენერგოდაზოგვა	205	$3646 \cdot 10^6$	1465
ენერგოეფექტურობა	82%	82%	64%

განსხვავება ენერგოეფექტურობაში ენერგიის რაოდენობასა და საჭირო სიმძლავრეს შორის გამოწვეულია იმით, რომ ენერგიის საჭირო რაოდენობა გათვლილია გასათბობი პერიოდის საშუალო ტემპერატურისა და მზის რადიაციის გათვალისწინებით, ხოლო საჭირო სიმძლავრე გათვლილია ყველაზე ცივი ხუთი დღის საშუალო (საანგარიშო) ტემპერატურისათვის.

თბილისში და მის შემოგარენში მდებარე ელექტრო- და თბოელექტროსადგურების სიმძლავრეების ჯამი უდრის 1247 მვტ. დღეს მოქმედი ნორმების პირობებში ეს სიმძლავრე ცხა- დია არ არის საკმარისი შენობების გასათბობად. სიმძლავრის დეფიციტი შეადგენს 1048 მვტ., ამიტომ საჭიროა სხვა დამატე- ბითი ენერგოწყაროების გამოყენება. თბოიზოლირებული შე- ნობების შემთხვევაში არსებული სიმძლავრეები მეტია საჭი- როზე 417 მვტ-ით. თბოიზოლირებული შენობების შემთხვევაში არსებული ელექტროსიმძლავრეები დიდი მარაგით საკმარისი იქნება შენობების გასათბობად. გასათბობად საჭირო ენერგიის რაოდენობის შემცირება მომხმარებლისათვის ექვივალენტური იქნება 5,5-ჯერ ენერგიაზე ფასის შემცირებისა. თუ მივიღებთ, რომ 1 კვტ•სთ ელექტროენერგიის ფასი საშუალოდ არის 0,14 ლარი, თბოიზოლირებული შენობების შემთხვევაში ნლიური ეკონომია იქნება $510 \cdot 10^6$ ლარი. თუ ენერგიას გავითვლით გა- ზით გათბობის შემთხვევისათვის, მაშინ შენობების თბოიზო- ლაციისას (1მ^3 -ის ფასი 0,5 ლარი) ნლიური ეკონომია იქნება $180 \cdot 10^6$ ლარი.

ნაშრომში [7] მოცემულია ემისიები ენერგიის ნარმოები-დან (მუდმივი წვა) განმენდის გარეშე. მონაცემების თანახმად, 1m^3 ბუნებრივი გაზის წვის დროს გამოიყოფა $0,202 \text{ кг}/\text{კვტ}\cdot\text{სთ}$ ნახშირორჟანგი. აქედან გამომდინარე, შენობების თბოიზოლაციის შემთხვევაში სათბური გაზის (CO_2) ატმოსფეროში გაფ-

რქვევა შემცირდება $0,736 \cdot 10^6$ ტ-ით, რასაც უდიდესი ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ანალოგიური მეთოდით საორიენტაციო ანგარიში შეიძლება ჩატარებული იყოს საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის. ამის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ თბილისის ტემპერატურული მაჩვენებლები პრაქტიკულად წარმოადგენენ საქართველოს მთელი ტერიტორიის გასაშუალოებულ მნიშვნელობებს.

ცხრილი 5-ში მოყვანილია CHиП 2.01.01-02-ის საქართველოს დამახასიათებელი 18 პუნქტის გასაშუალოებული მაჩვენებლები. საანგარიშო ტემპერატურები თბილისის და საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის პრაქტიკულად არ განსხვავდება. მხოლოდ გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა საქართველოს მთელი ტერიტორიისათვის 2 კვირით უფრო ხანგრძლივია, ვიდრე თბილისისათვის. თუმცა დასახლებული

ცხრილი # 4

საანგარიშო კლიმატური მახასიათებლები	თბილისი	საქართველო
1. გასათბობი პერიოდის საანგარიშო ტემპერატურა (ყველაზე ცივი 5 დღის საშუალო $^{\circ}$)	-8 $^{\circ}$ C	-8,2 $^{\circ}$ C
2. გასათბობი პერიოდის საშუალო ტემპერატურა	4,2 $^{\circ}$ C	4,0 $^{\circ}$ C
3. გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა (დღე-ლამე)	152	166

პუნქტების უმეტესობისათვის გასათბობი პერიოდის ხანგრძლივობა თავსდება 150 დღე-დამის ფარგლებში, რადგანაც მცირდება ექსტრემალური ტემპერატურების მქონე დასახლებული პუნქტების (როგორიცაა გუდაური, ახალქალაქი, შოვი და სხვ.) გავლენა საშუალო მნიშვნელობებზე.

საქართველოს მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა თუ არის $4 \cdot 10^6$, მაშინ შესაძლებელია საქართველოსთვის შენობების გასათბობად საჭირო ენერგიის რაოდენობის და სიმძლავრის დადგენა. გათვლების შედეგები მოყვანილია ცხრილში 5.

ცხრილი # 5


საქართველო, საცხოვრებელი შენობები	შენობების გასათბობად საჭირო ენერგია	
	რაოდენობა კვტ·სთ	სიმძლავრე მვტ
არათბოიზოლირებული (CHиП II-3-79**)	$16128 \cdot 10^6$	8320
თბოიზოლირებული (ახალი სნ და ნ, პროექტი)	$2930 \cdot 10^6$	3008
ენერგოდაზოგვა	$13198 \cdot 10^6$	5318
ენერგოფექტურობა	82%	64%

ცხრილში მოყვანილი ენერგიის აბსოლუტური მნიშვნელობები შემდგომში შეიძლება იყოს მეტნაკლებად კორექტირებული, ხოლო მათი შეფარდებები, კერძოდ ენერგოეფექტურობის მაჩვენებლები პრაქტიკულად არ შეიცვლება, რადგანაც ისინი ემყარებიან ძველი და ახალი ნორმების მოთხოვნათა შეფარდებას.


ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საცხოვრებელ შენობებში ენერგოდაზოგვის პოტენციალი აღნევს 13,2 მილიარდ კვტ.სთ. თუ 1 კვტ.სთ. ელექტროენერგიის საშუალო ფასად მივიღებთ 0,14 ლ, მაშინ წლიური ეკონომია 1,8 მილიარდი ლარის ტოლი იქნება. ზაფხულის პირობების გათვალისწინებით ენერგოდაზოგვის პოტენციალი საქართველოში იქნება უფრო დიდი, რადგანაც თბოიზოლირებულ შენობებში ჰაერის კონდიცინირებისათვის საჭირო ენერგიის რაოდენობა მცირდება მინიმუმამდე, ან საერთოდ არ არის საჭირო. ენერგოდაზოგვის პოტენციალი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების ენერგომოხმარებასაც.

თანამედროვე მოთხოვნებით თბოიზოლირებული შენობების გასათბობად საქართველოს პირობებში საკმარისი იქნება 18% იმ ენერგიისა, რომელიც საჭიროა არათბოიზოლირებული შენობებისათვის. დანარჩენი ენერგიის 82% დღეს იხარჯება გარე ჰაერის გათბობაზე და დაბინძურებაზე. თბოიზოლირებულ შენობებში ენერგიის მოხმარების 5,5-ჯერ შემცირება ექვივალენტურია ამდენჯერვე ენერგიაზე ფასის შემცირებისა. ამასთან, თბოიზოლირებულ შენობებში მინიმალური ენერგოსარჯით მიიღწევა ისეთი დონის კომფორტი, რომელიც არათბოიზოლირებულ შენობებში მიუღწევადია.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ რა თანაფარდობაშია ენერგომოხმარება დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, მოვიყვანთ საქართველოს და გერმანიის მონაცემებს.



ნახ. 20. საქართველოში საცხოვრებელი შენობების გათბობისათვის საჭირო ხვედრითი ენერგია გასათბობ პერიოდში.



ნახ. 21. გერმანიაში საცხოვრებელი შენობების გათბობისათვის საჭირო ხვედრითი ენერგია

მოყვანილი გრაფიკებიდან ჩანს, რომ საქართველოში საცხოვრებელი შენობების ხვედრითი სითბოდანაკარგები პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც იყო გერმანიაში 1982 წლამდე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში კლიმატი უფრო თბილია, ვიდრე გერმანიაში, იოლია დავას-

კვნათ, რომ მშენებლობის ხარისხი საქართველოში მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ხარისხისაა. გერმანული რეკომენდაციების თანახმად, ენერგოეფექტური საცხოვრებლის ოპტიმიზაციისთვის საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს:

— შემომზღუდავი კონსტრუქციების მაღალი ხარისხის სითბოდაცვითი თვისებები.

საორიენტაციო მაჩვენებლები: გარე კედლები $K_w \sim 0,25$ ვტ/(მ² °C), სახურავი $K_d \sim 0,15$ ვტ/(მ² °C), ჭერი და სარდაფის კედლები $K_{d,w} \sim 0,25$ ვტ/(მ² °C):

- სითბოდამცავი ფანჯრები;
- თანამედროვე ვენტილაციის სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს სითბური ენერგიის რეგულირაციას;
- სიცივის ხიდების მინიმალიზაცია ან მათი გამორიცხვა, ყველა დეტალის ზედმინევნით ზუსტი კონსტრუირება;
- მაღალი წარმადობის და ეფექტურობის გათბობის სისტემა;
- მზის ენერგიის პასიური მოხმარება;
- შენობის ფორმის ოპტიმიზაცია (შენობის კომპაქტურობა).

შვეიცარიის კონფედერაციამ ენერგეტიკის პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე შეიტანა აღნიშნული პრობლემა კონფედერაციის ახალ 1999 წლის კონსტიტუციის სამ მუხლში. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანილი იყოს ამონარიდი შვეიცარიის კონფედერაციის 89-ე მუხლის პირველი ორი პუნქტი:

“მუხლი 89. ენერგეტიკული პრობლემა

1. კონფედერაცია და კანტონები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღწვიან, რათა უზრუნველყონ დამაკმაყოფილებელი, მრავალფეროვანი, უსაფრთხო და

ეკოლოგიურად მისაღები ენერგიით მომარაგება, ასევე, ენერგიის ეკონომიური და რაციონალური მოხმარება.

2. კონფედერაცია ადგენს ადგილობრივი და განახლებადი ენერგიის სარგებლობის ეკონომიური და რაციონალური მოხმარების პრინციპებს.” და ა.შ.

საქართველოში შენობების საექსპლუატაციო ვადა სავარაუდოდ ასი წელიწადია. შენობების თბოიზოლირების შემთხვევაში ეკონომიკური ეფექტი გათვლილი უნდა იქნეს საექსპლუატაციო ვადის გათვალისწინებით, რადგანაც ფასები ენერგიაზე დროთა განმავლობაში იზრდება. სათანადოდ თბოიზოლირებული შენობის ღირებულებაც მოიმატებს. არათბოიზოლირებული შენობების დიდი სითბოდანაკარგების გამო, მოსახლეობის დიდი რაოდენობისთვის, ბინების გათბობა გახდება მიუწვდომელი.

დაუშვებელია, რომ საქართველოში 21-ე საუკუნის საცხოვრებელი შენობების 1 მ² სითბოდანაკარგები იყოს უფრო დიდი ვიდრე მე-19 საუკუნის შენობებში. საბჭოთა ნორმებზე ორიენტირებული ყოველი შენობა წინააღმდეგობაშია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან და წარმოადგენს ენერგოკრიზისის და სოციალური დაძაბულობის კერას. საჭიროა, რომ საქართველო დაუყოვნებლივ დაადგეს ევროპულ გზას — თბოიზოლირებული შენობების მშენებლობას და არსებული შენობების თბოიზოლირებას, როგორც ეს გაკეთდა ნორვეგიაში, გერმანიაში და სხვაგან. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპლექსური ღონისძიებების ჩატარებით. პირველ რიგში საჭიროა ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის და აგრეთვე ნორმების და სტანდარტების მიღება. კომპლექსური ღონისძიებებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სისტემური, დროში გათვლილი ენერგოდაზოგვა და ეკონომიკური ეფექტი. წინა-

აღმდეგ შემთხვევაში, ყოველწლიური მატებით უამრავი ენერგიის უაზროდ დაკარგვა აუარესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას და ქმნის ენერგეტიკული, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის საფუძველს.

ლიტერატურა

1. СНиП II-3-79* «Строительная теплотехника», Госстрой СССР, М. 1986.
2. СНиП 2.01.01-82 «Строительная климатология и геофизика», Госстрой СССР, М. 1983
3. СНиП II-3-75 « Отопление, вентиляция и кондиционирование воздуха», Госстрой СССР, М. 1976
4. სხ და წ პ 01.04-06 „სამშენებლო თბოტექნიკა“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006წ. (პროექტი).
5. სხ და წ პ 01.05-06 „სამშენებლო კლიმატოლოგია“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, 2006წ.
6. „თბილისის ენერგოფფექტურობის კონცეფცია“ „ენერგოფექტურობის ცენტრი საქართველო“, 2007წ.
7. თ. დალჟსვენი, გ. აბულაშვილი, ხ. სიჭინავა „შენობების ენერგოაუდიტი. ENSI-ის მეთოდები და ინსტრუმენტები“ თბილისი 2010წ.
8. გ. სადალაშვილი, მ. სადალაშვილი „საცხოვრებელი შენობების თბოტექნიკური მაჩვენებლების კავშირი საქართველოს ენერგეტიკულ პრობლემებთან“, თბილისი 2008წ.
9. «Инструкция по монтажу систем наружной теплоизолации фасадов зданий Ceresit WXM и Ceresit VWS. М. 2006г.
10. «Азбука навесных фасадов с воздушным зазором» «Юкон Инжиниринг», www.u-kon.ru
11. В. Хант « Современные навесные стеновые панели», Госстройиздат, М. 1962г.

12. Sadaghashvili M., *Interaction of the wind driven rain with buildings.* The Fourth European & African Conference on Wind Engineering (EACWE 4), Prague, 2005, 11-15 july.
13. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. ნაწილი 1, "ქრონოგრაფი, თბილისი, 2004.

სარჩევი

თავი1.საცხოვრებელი შენობების შემომზღვდავი კონსტრუქციების განვითარების ტენდენციები საქართველოში	4
თავი2. შემომზღვდავი კონსტრუქციების საექსპლოტაციო თვისებები.	13
თავი3. საქართველოში საცხოვრებელი შენობებისგასათბობად საჭირო ენერგია და გამოლოგიის საკითხები.....	34
ლიტერატურა.....	46
სარჩევი.....	48